

მხატვრის ღრამა

„ახლა ღამეა, არ მეძინება და მინდა გაგიზიარო ჩემი მოსაზრება ყოველივე იმის შესახებ, რაც შენ განუხეხს. თუკი ეს შენთვის მისაღები იქნება, მიიღე, თუ არა და, გადააგდე. მე არ მენწყინება. რაც უფრო მეტს ვიტანჯები თეატრის გამო, მით უფრო მეძნელება მის შესახებ წერა. შენ გამო ვლელავ, ჩემო პეტრე, ბედმა დაგაჯილდოვა უდიდესი ნიჭით და შენ ვალში ხარ მის წინაშე. ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ და სიკვდილზე არ ფიქრობ. სიკვდილი სულელური სიტყვაა. სიკვდილი არ არსებობს. სწორედ ის, რაც დარჩება შენს შემდეგ, არის გამარჯვება სიკვდილზე, ანუ სამარადისო დავინწყებაზე. ამაოა შენი შიში იმისა, რომ მოგიწევს ძველი ტრადიციების არტახებში დარჩენა და ამას მსხვერპლად შეეწირება შენი ფანტაზია და პრინციპებიც კი.“ – კოტე მარჯანიშვილის წერილიდან, 1933 წლის 24 თებერვალი, მოსკოვი.



პატარა (პეტია) ოცხელი

ციხის და ოცხეს მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებით კათოლიკურ რჯულზე გადავიდა.

მუდამ შიშის ქვეშ მყოფი მანანაშვილების ოჯახსაც კათოლიკობა მიუღია, მაგრამ ოსმალების ბატონობაში ცხოვრება აღარ უსურვებია და ოცხედან ქუთაისში გადასულან, იმერეთის მეფეს შენიზნიან, მისი ქვეშევრდომები გამხდარან და, რადგან წარმოშობით ოცხედან იყვნენ, ოცხელებად დანერვიან.

მეცხრამეტე საუკუნეში რუსებმა ოსმალები ახალციხიდან განდევნეს და თავიანთი წესები დააკანონეს. ოცხეში ცხოვრება ძლიერ გაძვირებულა, სანოვაგეს დიდი ფასი დასდებია და სწორედ მაშინ უთქვამთ ქალაქის მკვიდრთ – ადრე რაც აბაზი ღირდა, ახლა იმაში თუმანი გვეხარჯებაო. ასე დაერქვა ოცხეს აბასთუმანი. თუმცა ამ დროისათვის მანანაშვილები უკვე გაიმერლებული ოცხელები იყვნენ და ქუთაისში კვლავ ვაჭრობით ირჩენდნენ თავს.

გრიგოლ ოცხელიც, წინაპართა მსგავსად, საქმოსანი და მეტად შეძლებული კაცი ყოფილა. ქუთაისსა და ბათუმში საქმეებს აწარმოებდა და მამა-პაპათა ღვანლს იმდენად სერიოზულად მიიჩნევდა, რომ საქართველოში ვაჭრობის განვითარების შესახებ წიგნიც კი დაწერა. 40 წლისა, როგორც იქნა, დაოჯახდა – ცოლად ქუთაისელი კათოლიკე გოგონა, 18 წლის ელენე ხოჯევანიშვილი შეირთო. 4 შვილი შეეძინათ: ნატაშა, ნინო, პეტრე და ლევანი. 1913 წელს გრიგოლმა გადანყვიტა უფრო დიდი საქმისთვის მოეკიდა ხელი და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, სერპუხოვოში ფაბრიკა გახსნა და მაუდის წარმოება დაიწყო. ბავშვები კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ფრანგულ გიმნაზიაში მიაბარა, რომელიც წერის წმინდა ფილიპეს სახელს ატარებდა. პატარა ოცხელები აქ ძალიან კარგ განათლებას იღებდნენ.

პეტრე სერიოზული და წყნარი ბავშვი ყოფილა, კარგად სწავლობდა, თუმცა წლის ბოლოს ნიშნების ფურცელში არითმეტიკაში ერთი სამიანი მაინც გამოერია. ბავშვებს სახლში ფრანგი გუვერნანტი ქალი უფლიდა. ფორტეპიანოზე დაკვრასაც სწავლობდნენ. ოცხელების სახლში ხშირად იმართებოდა საბავშვო კონცერტები და სპექტაკლები, პეტია (ასე ეძახდნენ მოფერებით), ლევანი და ნინა ექვს ხელში უკრავდნენ საფორტეპიანო ნაწარმოებებს. განსაკუთრებული ტრადიცია ჰქონდათ – მთელი ოჯახი საზეიმოდ გამოეწყობოდა და ერთად მიდიოდნენ თეატრში. პეტრეს ბლოკნოტი სულ თან დაჰქონდა და მთელი წარმოდგენის მანძილზე ჩანახატებს აკეთებდა. ზაფხულობით ბავშვებს ბანაკში უშვებდნენ. ერთ დღეს რაზმებს შორის შეჯიბრი გაიმართა, რაიმე თეატრალური სანახაობის გაფორმება დაევალებათ. 11 წლის პეტრე ოცხელი სიხარულით შეუდგა საქმეს, „გერიას“ ყველა პერსონაჟი აკვარელის საღებავებით დახატა, ლევანი მაკეტის გაკეთებაში დაეხმარა და შედეგი იმდენად შთამბეჭდავი გამოვიდა, რომ მასწავლებლებმა ესკიზები და მაკეტი მოსკოვში გამოფენაზე გაგზავნეს.

ბედნიერი წლები იყო – საქმე კარგად მიდიოდა და ოჯახიც ერთიანი გახლდათ. მაგრამ ეს უდარდელი პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდა – 1917 წელს ყველაფერი თავდაყირა დადგა, გრიგოლს ქონება ჩამოართვეს. ოჯახი იმდენად გაღარიბდა, რომ გრიგოლმა ბიჭებთან ერთად მოსკოვის ახლო-მახლო სოფლებში სიარული დაიწყო, გლეხებისგან ხელნაკეთ ნივთებს ყიდულობდნენ, შემდეგ ყიდდნენ და თავს ამგვარად ირჩენდნენ. ასეთ გაჭირვებაში ცხოვრება უკვე შეუძლებელი იყო და 1920 წელს გრიგოლმა ცოლ-შვილი დანარჩენ ქართველობას-

თან ერთად მოსკოვიდან საქართველოში ურმით გამოიხიზნა.

სამშობლოში დაბრუნებულ გრიგოლს კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს – ელენე ოჯახიდან წავიდა და მას შემდეგ არც მეუღლესთან და არც ბავშვებთან ურთიერთობა აღარ ჰქონია. შვილებს დედა აღარასოდეს უნახავთ... შესაძლოა, ასაკში დიდმა სხვაობამ, მეუღლის არც თუ მსუბუქმა ხასიათმა და ძლიერ შეჭირვებულმა ცხოვრებამ უბიძგა ახალგაზრდა ქალს დაეტოვებინა ქმარ-შვილი... ბავშვებისთვის ამ ტრაგედიის მიზეზი ბოლომდე უცნობი დარჩა. ისინი საშინლად განიცდიდნენ დედის წასვლას, გრიგოლისთვის კი მეუღლე თითქოს მოკვდა, მასზე საერთოდ აღარაფერს ამბობდა, არც კარგს და არც – ცუდს, ისე იქცეოდა, თითქოს ეს ქალი მის ცხოვრებაში არასდროს არსებობდა.

ოცხელები ქუთაისის დაუბრუნდნენ. გრიგოლმა ისევ ახალი საქმე წამოიწყო – ამჯერად იმ დროს გავრცელებული სენის – მალარიის წამალი გამოიგონა – ანტიმალარიკი. წამალი გემრიელი იყო და კარგადაც იყიდებოდა. ამ საქმემ ოჯახს ძველებური უდარდელი ცხოვრება ვერ დაუბრუნა, მაგრამ ოდნავი შვება მაინც მისცა, ეს იყო მათი ერთადერთი შემოსავალი. მამის დახმარება უფროსმა ქალიშვილმა ნატაშამაც გადაწყვიტა და მუშაობა დაიწყო. გრიგოლმა ბიჭები ქუთაისის „რეალურ სასწავლებელში“ მიაბარა, ნინამ კი მუსიკალურ სასწავლებელში გააგრძელა სწავლა. პეტრემ სწავლაში აქაც გამოიჩინა თავი, მაგრამ განსაკუთრებული სიხარული მისთვის ხატვის გაკვეთილები იყო. მასწავლებელიც ძალიან კარგი შეხვდა – ივანე ჭიიშვილი. მისი ხელმძღვანელობით პეტია გატაცებით ხატავდა პეიზაჟებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს, ჩანახატებს, სკოლის საბავშვო სპექტაკლებსაც აფორმებდა... გაკვეთილების შემდეგ კი ხშირად, სახლში წასვლის ნაცვლად, ბაგრატის ტაძრის ორნამენტების ჩასახატად დადიოდა... ასე გაიარა ხუთმა წელიწადმა.

დადგა პროფესიული არჩევანის გაკეთების დრო – პეტრემ მამას გამოუცხადა, მხატვარი უნდა გამოვიდო. გრიგოლმა მხატვრობის ნაცვლად შვილს არქიტექტორობა შესთავაზა – უფრო მომგებიანი საქმეაო. პეტიამ დაუჯერა მამას და 1927 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩააბარა. ნინა და პეტია

თბილისში გადმობარდნენ და დერბენტის ქუჩის №9-ში (ამჟამინდელი ჩირგაძის) ერთი პატარა ოთახი იქირავეს. გრიგოლი, ნატაშა და ლევანი კი ქუთაისში დარჩნენ.

პეტიას პედაგოგებში აქაც ძალიან გაუმართლა – იოსებ შარლემანი და ევგენი ლანსერე ასწავლიდნენ. თუმცა სამხატვრო აკადემიაში დიდ ხანს არ გაჩერდა – მხოლოდ ერთი წელი. 1928 წელს პეტრე ოცხელი თბილისის მუშათა თეატრში ანატოლი ლუნაჩარსკის „ცეცხლის გამჩალებლების“ გასაფორმებლად მიიწვიეს. წარმოდგენაში მონაწილეობას კოტე მარჯანიშვილის მეუღლე – ელენე დონაური იღებდა. ამიტომაც, ბუნებრივია, დიდი რეჟისორი სპექტაკლის პრემიერას დაესწრო, მხატვრის ნამუშევარი ძალიან მოეწონა და ის სამუშაოდ თავის თეატრში მიიწვია. ახალგაზრდა მხატვარი ისე მოიხიბლა ამ იდეით, რომ სწავლას თავი დაანება და დიდ მავსტროს ქუთაისში გაჰყვა. შემ-

იერა წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში დაგეგმეს, მაგრამ ამ დროისთვის თეატრს მისთვის გამოყოფილი თანხები უკვე დახარჯული ჰქონდა, ამიტომაც პეტრემ დეკორაციის იაფი ვარიანტი მოიფიქრა – გააკეთა ჩინური თევზი და დიდი, როგორც თვითონ ამბობდა, „გასაგიჟებელი აბაჟური“, რითაც სცენის მთელი სივრცე შეავსო და თეატრის ბიუჯეტიც გადაარჩინა. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად, დარბაზი მუდამ გადაჭედული იყო მაყურებლებით.

იმხანად მარჯანიშვილს კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტაზე“ მუშაობა შეჩერებული ჰქონდა, დასმა უკვე ხელი ჩაიქნია, ალბათ ამ პიესას აღარ მივუბრუნებდითო – ფიქრობდნენ. დადგმის განახლების სურვილი დიდ რეჟისორს ერთმა შემთხვევამ დაუბრუნა – ვერიკო ანჯაფარიძე პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიწვიეს, მან გადამწყვიტა, მუსიკალური თანხლებით, ივლითის პირველი მონოლოგი წაეკითხა. თამარ ვახვახიშვილი

ბავშვები საშინლად განიცდიდნენ დედის წასვლას, გრიგოლისთვის კი მეუღლე თითქოს მოკვდა.

ფოთებულმა პედაგოგებმა მარჯანიშვილს მიმართეს – პეტრემ ეგებ სწავლა გააგრძელოს, დიპლომი მაინც აიღოსო. – დიპლომს მე თავად მივცემო – ასეთი პასუხით გამოისტუმრა პეტრე ოცხელის პედაგოგები მარჯანიშვილმა.


პირველი სპექტაკლი, რაც თეატრში მისვლისთანავე გააფორმა, შალვა დადიანის პიესა „აკაკალ გულში“ იყო. პრე-

(მარჯანიშვილის დადგმების უცვლელი კომპოზიტორი) იხსენებს: „ორკესტრში ჩავედით გასამეორებლად და პიანინოს მივუსხედით. საორკესტრო ორმოდან ვერ დავინახეთ, როგორ შემოვიდა პარტურში მარჯანიშვილი. უცებ ზემოდან რალაც ქმენა მოგვესმა. თავი ავნიეთ. მარჯანიშვილი ბარიერზე გადმოხრილი იყო, ნერვიულად ქაჩავდა პაპიროსს და



ნინა, ლევანი, პეტია და ნატაშა

პატარა პეტიას ბლოკნოტი სულ თან დაჰქონდა და ჩანახატებს აკეთებდა.



ასკიზი სავაქტაკლისთვის „ურიელ აკოსტა“

ამ მოუხერხებელ დაზგაზე ვერიკო ისე მოთავსდა, თითქოს რბილ სავარძელში ჩაჯდაო და მონოლოგის კითხვას შეუდგა. მარჯანიშვილმა კმაყოფილებისგან თვალელებიცი კი მოჭყუტა... ასე გადაწყდა „ურიელ აკოსტას“ ბედი.

ანთებული თვალელებით მოგვიჩვენებოდა. „ჰაიტ, თქვე შეჩვენებულეზო, თქვენა, მიდით... მიდით, თავიდან! – გაბრწყინებული სახით გაიძახოდა მარჯანიშვილი – კარგია, კარგია, ყველანი სცენაზე! პეტია, მეორე სურათი დადგი...“
ოცხელმა სცენაზე სახელდახლოდ მომზადებული, უცნაური, დახრილი დაზგა გამოათრია და ყვითელი ფერის ფარდა ჩამოაფარა. ამ მოუხერხებელ დაზგაზე ვერიკო ისე მოთავსდა, თითქოს რბილ სავარძელში ჩაჯდაო და მონოლოგის კითხვას შეუდგა. მარჯანიშვილმა კმაყოფილებისგან თვალელებიცი კი მოჭყუტა... ასე გადაწყდა „ურიელ აკოსტას“ ბედი.

რეპეტიციები ინტენსიურად მიმდინარეობდა, მაგრამ პეტიას ესკიზები არა და არ მოჰქონდა. ბოლოს მარჯანიშვილმა თამარ ვახვახიშვილი მოიხმო: „შენზე ამბობენ, პეტია ოცხელს მფარველობსო. ჰოდა, უთხარი იმ შენს აღსაზრდელს, რომ თუ ხვალ „ურიელ აკოსტას“ ესკიზები არ მოუტანია, ვერ გადაამირჩება!“ თამარი სასწრაფოდ ოცხელების სახლისკენ გაიქცა. შესვლისთანავე გრიგოლმა უთხრა, მუშაობსო, მაგრამ თამარმა გადანყვიტა თავად შეემონებინა, პეტიას ოთახის კარზე დააკაკუნა და რადგან ხმა არავინ გასცა, კარი თავად შეაღო. შეაღო და გაოგნებული ერთ ადგილას გაჩერდა – სამუშაო მაგიდა სრულიად ცარიელია, არც ფანქრები, არც საღებავები...

ქალაქელებიცი კი არსად ჩანს. თვითონ პეტია კი არხეინად მოკალათებულა სავარძელში და ჩაფიქრებული ჭერს შესცქერის.
– პეტია, ესკიზები სადა გაქვს?
– რა ესკიზები? არავითარი ესკიზები არა მაქვს.
– ხომ არ გაგიჟდი?! ზარმაცო! შენ ცეკვის გარდა აღარაფერი გახსოვს! ყველას ყელამდე სამუშაო გვაქვს. მე შენ სინაგოგაშიც კი გამოგყვი; ახლა კი ვხვდები, რომ იქაც თავშესაქცევად ნახვედი, რადგან ოხუნჯობის მეტი არაფერი გაგიკეთებია!
– ვერ გამიგია, რას მეჩხუბებით? მე ხომ სულ ვმუშაობდი, ახლაც ვმუშაობ.
– შენ? მუშაობდი?... თუ ჭერში ბუზებს ითვლიდი?!
თურმე თამარი მართლაც ტყუილად ეჩხუბებოდა პეტრეს. მას, უბრალოდ, მუშაობის უცნაური სტილი ჰქონდა. იმ დროს, როცა ყველას ეგონა, რომ პეტია უსაქმურობდა, ჭერში ბუზებს ითვლიდა ანდა ცეკვაში ატარებდა მთელ საღამოს, ის სწორედ რომ თავის საქმეზე ფიქრობდა, ფიქრობდა დიდხანს, ყველაფერს გონებაში ალაგებდა და მხოლოდ მაშინ იღებდა ხელში ფანქარსა და საღებავებს, როდესაც ზუსტად ჩამოყალიბდებოდა რა და როგორ უნდა გაეკეთებინა.
რამდენიმე დღის შემდეგ პეტრემ თეატრში მაკეტი მიიტანა... მარჯანიშვილი დიდხანს და ყურადღებით ათვალთვლებდა. უცბად რამდენჯერმე თავი გააქნია, ალღევებით პაპიროსს მოუკიდა, ხელზე საათი გაიკეთა... საყელო გაისწორა... აილო თავისი განუყრელი ჯოხი და მთელი ძალ-ღონით დაარტყა მაგიდას. დასი სულგანაბრებული ელოდა ვერდიქტს. ყველა ფიქრობდა, ალბათ არ მოეწონა და ახლა თავს რისხვის ქარ-ცეცხლი დაგვატყედაო. ამ დროს მარჯანიშვილის აღფრთოვანებული შეძახილი გაისმა: „გენიალურია, შესანიშნავია, ყოჩაღ, პეტრე, ყოჩაღ, სად არის ის ბიჭი!“ პეტრე თითქოს გაუჩინარდა. ბევრი ძებნის შემდეგ, ბოლოს სცენის სიღრმეში თავჩაქინდრული და განითვლებული იპოვეს. მაშინ პეტრე ოცხელი მხოლოდ 22 წლის იყო...
„პეტიას არ უყურებ? სახეებიც გადაუნყვეტია და ხასიათებიც. მსახიობებს საქმე აღარაფერი დაუტოვა: დაუღეჭა და ისე ჩაუღო პირში...“ აღტაცებას ვერ მალავდა მარჯანიშვილი. თუმცა, როდესაც მოგვიანებით ელენე ლოლობერიძემ სპექტაკლის ციფრებით აჭრელებული ხარჯთაღრიცხვა წარუდგინა, საშინლად აღშფოთდა: „სადა მაქვს ამდენი ფული!.. ამის მეოთხედსაც ვერ დაეხარჯავ! მოელაპარაკე პეტია ოცხელს და წარმომიდგინეთ გაფორმების ესკიზები და ახალი ხარჯთაღრიცხვა. ნუ დაივინყებთ, რომ ეს დადგმა რიგგარეშეა ჩვენს რეპერტუარში და ფული არა გვაქვს. რამე უნდა გაახერხოთ...“ პეტრემ ისევე „რაღაც გაახერხა“ და თეატრი გაკოტრებას კვლავ გადაარჩინა.
მაკეტსა და ესკიზებში მხოლოდ სამი ფერი გამოიყენა: ყვითელი, შავი და რუხი. პირველ მოქმედებაში სცენა შუაზე გაყო – ერთ მხარეს დე სილვას კაბინეტი მოაწყო, მეორე მხარეს – მზით განათებული „ბალი“ – დაზგა-სავარძელი, რომელზეც თეთრ კაბაში გამოწყობილი ივდითი-ვერიკო იყო წამოწოლილი. მის უკან პირობითად შესრულებული ხე და ყვითელი დისკო მოჩანდა. მთელი სპექტაკლი შავი ხავერდის პანორამის ფონზე ააგო, რაც სცენას სიღრმეს მატებდა. მეორე აქტში მხოლოდ ერთი, მასიური დეკორაცია იყო – დიდი კიბე. რეჟისორმა ამ მოქმედების მიზანსცენები კიბის მიხედვით ააწყო. განტქმული წყევლის სცენა... როდესაც მუსიკისა და ბრბოს გოდებასთან ერთად სინათლე სულ უფრო და უფრო იკლებდა. ივდითი წამოიძახებდა „სტყუი, რაბინო!“ ვერიკო-ივდითი გააფთრებ-

ული მისდევდა გაქცეულ სტუმრებსა და რაბინს, მიჰყვებოდა კიბეზე და როდესაც კიბის თავზე აღმოჩნდებოდა, ჩერდებოდა, ძალიან ნელა აბრუნებდა თავს ქვემოთ დარჩენილი ურიელისკენ – უშანგი ჩხეიძისკენ, უღიმოდა მას – სინათლე და მუსიკა ერთდროულად მატულობდა. ივდითი ხელს უწვდიდა ურიელს – „ახლა ჩემი ხარ, ჩემი, ურიელ!“ სცენა თვალისმომჭრელად ნათდებოდა. ასევე ხელგანვდილი, თვალგაბრწყინებული ურიელი ივდითისკენ მიემართებოდა, მუსიკა პიკს აღწევდა, შეყვარებულთა ხელები ერთდებოდა და ნელა იხურებოდა ფარდა...

მესამე მოქმედებისთვის მარჯანიშვილმა მხატვარს განსაკუთრებული მითითება მისცა – ნუ შეგვიწინდება იდუმალებას საბურველი ჩამოგლიჯო, აჩვენე მაყურებელს მთელი მექანიკა,

„გენიალურია, სად არის ის ბიჭი!“ პეტრე სცენის სიღრმეში განითვლებული იპოვეს. მაშინ ის მხოლოდ 22 წლის იყო...

გახსნილ ფარდაში გაუშვი წრეო. რეპეტიციის მსვლელობისას პეტრემ ამ შემოქმედებითი ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა – „მექანიკის ჩვენება“ გაამართლა: ურიელი გარბოდა, მას ბრმა დედა და ძმები მიჰყვებოდნენ. სცენაზე მხოლოდ ივდითი რჩებოდა, მუსიკა ძლიერდებოდა... მარჯანიშვილი პარტურში ველარ გაჩერდა, სცენაზე აირბინა, ვერიკოს მხრებზე ხელი მოჰკიდა, სავარძელზე აიყვანა, ხელი აუწია... მსახიობი მყისვე მიხვდა დიდი მავსტროს ჩანაფიქრს, ხელი გაიწოდა და



ვერიკო ანჯაფარიძე – ივდითი



ვერიკოს ყველაზე ლამაზ ქალად თვლიდა, მისი გუზა იყო

მოულოდნელი იყო წარმოდგენის გადწყვეტა – ყველაფერი მწვანე იყო, დეკორაცია, კოსტიუმებიც, ლითონის დეტალებიც და კოლოფებიც, რომლებითაც მსახიობების ზურგებზე ლაბადების დამაგრება განიზრახა. მარჯანიშვილი მას ყველაფრის უფლებას აძლევდა.

1930 წელს კოტე მარჯანიშვილიმა პეტრე ოცხელი თეატრის მთავარ მხატვრად დანიშნა. ამ ამბავმა ბევრი ადამიანი ძლიერ გაახარა, თუმცა ზოგი გააკვირვა და გააღიზიანა კიდევც – ჯერ პირზე რძე არ შეშრობია, სწავლაც კი არ დაუსრულებია და უკვე ამხელა წარმატებას მიაღწიაო. თუმცა თავად პეტისას ეს მითქმა-მოთქმა განსაკუთრებით არ ადარდებდა – ჩვეულებრივ ხალისითა და ენთუზიაზმით აგრძელებდა თავის საქმიანობას. ჭორი დადიოდა – ალექსანდრე იმედაშვილს უთქვამს, მარჯანიშვილის მსახიობებს კომპოზიტორი და ახალგაზრდა რეჟისორები თავის ნებაზე ათამაშებენ, პეტია ოცხელიც კი – ეს პატარა ბავშვი, მარტო გრემს კი არ უკეთებს, მიხვრა-მოხვრასა და ჟესტებსაც კი ასწავლისო. თეატრის შიგნითაც ჩურჩულებდნენ – მარჯანიშვილი მეტისმეტად ანებივრებს პეტისას და ბევრის უფლებას აძლევს; თავის ჩანაფიქრებს უზიარებს, ითვალისწინებს პეტრეს აზრს მსახიობთა თამაშის შესახებ და ყველაფერს უწონებსო... ბევრს მართლაც არ ესმოდა, რომ ახალგაზრდა, დამწყები მხატვარის და გამოცდილი რეჟისორის მხატვრული მსოფლმხედველობა, გემოვნება და ესთეტიკა ერთმანეთს ემთხვეოდა.

პეტია საოცრად კომუნიკაბელური, თბილი და საყვარელი ადამიანი იყო, იუმორით აღსავსე, სულ ზუმრობდა და სასაცილო ამბებს იგონებდა. ამ შეთხზული ისტორიების მთავარი გმირი, უმეტეს შემთხვევაში, მისი უფროსი და – ნინა იყო. ნინას ხშირად აჩერებდნენ ქუჩაში პეტრეს ნაცნობები და სიცილით ეკითხებოდნენ – ნინა, ნუთუ შენ მართლა ასე დაგემართა, ნამდვილად გააკეთე ასეთი რამეო? გაოგნებული ნინა უმაღვე ხვდებოდა, რომ პეტრემ მორიგი ამბავი შეთხზა მისი მონაწილეობით.

პეტრე ან სულ თეატრში იყო, ანდა – სახლში. სადაც უნდა ყოფილიყო, მუდმივად ხატავდა, თავის საყვარელ საქმეს აკეთებდა და სხვა არაფერი აინტერესებდა. ეს იყო მისთვის მთავარი. ყველასთან მეგობრობდა, სცენის მუშებით დაწყებული, თეატრის მმართველებით დასრულებული. განსაკუთრებით ახლო მეგობრები იყვნენ: ელენე ახვლედიანი, თამარ ვახვახიშვილი, სესილია თაყაიშვილი, მედეა ქორელი, დავით მაჭავარიანი, ივლიტა და მაკა ჯორჯაძეები... მიუხედავად იმისა, რომ ოცხელებს ხშირად საკმაოდ უჭირდათ, პეტისას და ნინას პატარა ბინაში სულ თავყრილობები იმართებოდა, ძალიან მხიარულად ცხოვრობდნენ, ერთ დიდ ოჯახად... მათთან ხშირად მიდიოდა სერგო ზაქარიაძე, საათობით იჯდა და აკვირდებოდა, როგორ მუშაობდა პეტრე, იჯდა ჩუმად, შესაძლოა იმიტომაც დუმდა, რომ პეტისას სამეგობრო სულ რუსულად ლაპარაკობდა, სერგომ კი რუსული საერთოდ არ იცოდა, არც ესმოდა, მაგრამ მაინც ჯიუტად იჯდა და აკვირდებოდა ესკიზებისა და მაკეტების შექმნის საოცარ პროცესს.

მოულოდნელად პეტრეს ხერხემლის საშინელი ავადმყოფობა დაემართა – სპონდელიტი. გაუსაძლისი ტკივილები ტანჯავდა, ერთხანს ტყავის მოუხერხებელი, უხეში კორსეტითაც კი დადიოდა. აუტანელ ტკივილს არასოდეს იმჩნევდა და ცდილობდა სულ ხალისიანი და ხუმარა ყოფილიყო. იქნებ ამის გამოც იყო, რომ არავისთან სასიყვარულო ურთიერთობა არ გაუბია. პეტრეს ერთადერთი აღიარებული სიყვარული – ვერიკო ან-

ჯაფარიძე გახლდათ, თუმცა ეს უფრო აღფრთოვანებისა და შემოქმედებითი სიახლოვის გრძნობა იყო, ვიდრე მინიერი, ქალ-ვაჟური ლტოლვა. ვერიკოს ყველაზე ლამაზ ქალად თვლიდა, მისი მუზა იყო – უამრავი ესკიზის თემა და მოდელი. პეტრე მხოლოდ პლატონურად ეტრფოდა. თანაც, ვერიკო მასზე საგრძნობლად უფროსი იყო და იმ დროს უკვე ქმარ-შვილი ჰყავდა, ამიტომაც, ბუნებრივია, არავითარი რომანი არ ჰქონიათ.

1931 წელს მარჯანიშვილი მოსკოვში მიიწვიეს – კორმის თეატრში ჰ. იბსენის „მშენებელი სოლნესის“ დადგმა სთხოვეს. რეჟისორმა თან თავისი უცვლელი სადადგმო ჯგუფი წაიყვანა: კომპოზიტორი – თამარ ვახვახიშვილი, რეჟისორი – ელენე ლოლობერიძე და მხატვარი – პეტრე ოცხელი. მარჯანიშვილიმა პირველსავე რეპეტიციაზე დასს ოცხელის ესკიზები წარუდგინა – ყველა აღფრთოვანებით ათვალისწინებდა გასაოცარ ჩანახატებს. მხატვარმა მათ მართლაც სრულიად ახალი და წარმოუდგენელი რამ შესთავაზა – სცენაზე სამი ერთმანეთზე

გორ ავიდოდა ამ საოცარ კიბეზე სპექტაკლის მთავარი გმირი – სოლნესი. „კოსტიუმების ესკიზებმა მსახიობებში დაუფარავი ალტაცება გამოიწვია, – იხსენებს თ. ვახვახიშვილი – ისე უყურებდნენ, თითქოს უნდოდათ, ახლავე ჩაცვით ეს ეფექტური, საოცრად ლამაზი ჭრელი კოსტიუმები.“ თეატრის სადადგმო განყოფილებას კი მართლაც გაუჭირდა ასეთი რთული კონსტრუქციის დამზადება. პეტია სადგეოვანი ცეხში გადასახლდა და მუშებთან ერთად ათენ-ალამებდა. ბევრი წვალბის შემდეგ, მხატვარი შედეგით კმაყოფილი დარჩა – ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც მას ჰქონდა ჩაფიქრებული. მარტში გამართულმა პრემიერამ მთელი თეატრალური მოსკოვი აალაპარაკა. მარჯანიშვილის ნოვატორობა და დიდი რეჟისორობა რუსეთში ახალი ამბავი არ იყო, აი, პეტრე ოცხელი კი ყველასათვის ნამდვილი აღმოჩენა გახდა.

საქართველოში სიხარულითა და მრავალი შემოქმედებით გემით დაბრუნდნენ. თეატრში პრემიერას პრემიერაზე მართავდნენ: ნ. პოგოდინის „ფოლადის პოემა“ – 1930წ., ი. ჰაშვილის

პეტია სადგეოვანი ცეხში გადასახლდა და მუშებთან ერთად ათენ-ალამებდა. მარტში გამართულმა პრემიერამ მთელი თეატრალური მოსკოვი აალაპარაკა.

დანყობილი წრე განათავსა: ორი – რუხი, დიდი სცენის ზომის და ერთი – თეთრი, უფრო მომცრო, და ეს ყველაფერი – შავი ხავერდის ფონზე. წრეები არ იცვლებოდა, იცვლებოდა მხოლოდ მასზე განლაგებული დეკორაცია, ავეჯი თითქმის არ იყო: პირველ მოქმედებაში – სტილიზებული სანური მაგიდა, სავარძელი, სკამი; მეორე მოქმედებაში – შავი სვეტები და ერთი ტახტი, რომლებსაც მომდევნო სურათში სამი თეთრი პოსტამენტი და მათზე დამაგრებული სამი მაღალი ლამპა ცვლიდა, სულ ბოლოს კი წრეებზე მაღალი, დახვეული კიბე ჩნდებოდა, რომელიც თითქმის თეატრის ჭერამდე აღიწვავდა. ვერავინ ხვდებოდა, როგორ უნდა აეშენებინათ ამგვარი დეკორაცია ანდა რო-

– „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიცი“ – 1931წ., ვ. კირშონის – „პური“ – 1931წ... ამავნე წელს მარჯანიშვილიმა დასს პირველი ქართველი ებრაელი დრამატურგი – გერცელ ბაახოვი გააცნო და განუცხადა, რომ თეატრი მომდევნო სეზონში მის პიესაზე „მუნჯები ალაპარაკდნენ“ – იმუშავენდა. ებრაელ ღარიბ-ღატაკთა ცხოვრების შესახებ დაწერილ პიესას მარჯანიშვილი ეპოქალურად მნიშვნელოვნად თვლიდა. მასზე მუშაობა პეტრესთვისაც განსაკუთრებით საინტერესო იყო – ბავშვობა ხომ სწორედ ქართველი ებრაელებით დასახლებულ ქალაქში გაატარა და ზედმინევიანთ იცოდა მათი პლასტიკა, ჩაცმულობა, მიხვრა-მოხვრა, შესტიკულაცია... დეკორაცია სადა და ორიგინალური

პეტრეს ერთადერთი აღიარებული სიყვარული ვერიკო ანჯაფარიძე გახლდათ.

დროულად გეომეტრიული ფორმის ცილინდრებს, მაგიდებს და კიბეს რაბინებით სავსე სინაგოგა ცვლის. „მარჯანიშვილს რომ ვუყურებ, მეშინია. ზოგჯერ მგონია, რომ ეს ადამიანი არაა, მას შეუძლია ხე ამეტყველოს და მკვდარი ამმღეროს“ – გადაულაპარაკა მონუსხულმა პეტრემ გვერდზე მჯდომ თამარ ვახვახიშვილს.

1929 წლის 2 თებერვალს „ურიელ აკოსტას“ პრემიერამ უდიდესი ტრიუმფით ჩაიარა. პეტრე ოცხელის სახელი ყველას პირზე ეკერა, მისმა კოსტიუმებმა და დეკორაციამ პუბლიკა გააოცა. შემდეგ იყო პ. შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“, კ. კალაძის „ხატიჯე“, დ. შენგელაიას „თეთრები“... „ბეატრიჩე ჩენჩის“ ესკიზები თეატრში რომ მიიტანა, ბევრი სახტად დარჩა, იმდენად

ასკიზი საექსპოზიციისთვის „მხანებელი სოლნესი“





პატრია ოცხალი, ელენე ლოლოზარიძე, თამარ ვახვანიშვილი და კოტე მარჯანიშვილი

– მეორე სართულის ოთახს წარმოადგენდა. ეს თეფშისმაგვარი სართულები სცენაზე კი დაამონტაჟეს, მაგრამ ვერაფრით ამოძრავეს. ამიტომ დოდო ანთაქემ თეატრში ორი ინჟინერ-მექანიკოსი მიიყვანა, რომლებმაც სცენაზე ამწე მანქანა დააყენეს. მისი მეშვეობით უნდა აემოძრავებინათ მხატვრის მიერ შექმნილი დეკორაცია. ახალ დანადგარს თეატრში ხუმრობით მარჯანიშვილი დაარქვეს. დასმა პრემიერა მარჯანიშვილის გარეშე გამოუშვა, ამ დროისათვის ის უკვე მოსკოვში იყო და მომავალი დადგმისათვის ემზადებოდა, თან კვლავ პეტრეს და თამარ ვახვანიშვილის წაყვანას გეგმავდა, მაგრამ 1932 წლის ივლისში განსახკომმა ისინი მოსკოვში არ გაუშვა. მარჯანიშვილს პირდაპირ განუცხადეს – თქვენ რომ არა ხართ თეატრში, ჯერ ეს ფაქტი გვანუხებებს, ახლა კი საჭირო მუშაკებიც გინდათ წაიყვანოთო?!

მარჯანიშვილისთვის უკანასკნელ, განუხორციელებელ დადგმაზე – შექსპირის „რიჩარდ III“-ზე პეტრე ოცხელი თბილისში მუშაობდა და მანქანისგან შემოქმედებითი მოლაპარაკებები წერილების მეშვეობით ჰქონდა.

„როგორ ვაჩვენოთ ჩრდილები კინოს გამოყენებით?! ჩემი ძვლები ორჯერ დამინდება სამარეში, ვიდრე მცირე თეატრი გაბედავს და კინოს სპექტაკლის მსვლელობაში ჩართავს. – წერდა 1933 წლის თებერვალში მარჯანიშვილი ოცხელს – არ შედრკე! დღემდე შენ ყველაფერი ბრწყინვალედ გამოგდიოდა. შენ თვით პიესის არსითა და თეატრის თავისებურებით იმსჯელები ხოლმე. ჩემი არ გესწავლება, ჩემო პეტრე. წერილი არ მომწერო, რადგან ამ დღეებში აქედან მივემგზავრები. როგორ გრძნობ თავს? ხომ ჯანმრთელად ხარ? გახსოვდეს, რომ შენი ჯანმრთელობა ჩემი ერთ-ერთი ქრონიკული სანუხარია.“

ამ წერილის დაწერიდან 2 თვის შემდეგ, 1933 წლის 17 აპრილს, 61 წლის კოტე მარჯანიშვილი მოსკოვში, ღამით, როცა ლუნაჩარსკის ოჯახიდან მანქანით სახლში ბრუნდებოდა, მოულოდნელად გარდაიცვალა. პეტრემ მანქანის სიკვდილი ძალიან მძიმედ განიცადა, პანაშვიდები და დაკრძალვა საკუთარი ხელით გააფორმა. ყველა, და მათ შორის ოცხელიც, გრძნობდა, რომ დასრულდა ძალიან დიდი ეპოქა, შესაძლოა, მათი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი – კოტე მარჯანიშვილის ერა ქართულ თეატრში.

საქართველოში მუშაობისას პეტრის მუდამ უკმარობის განცდა ჰქონდა. ხანდახან აღიზიანებდა კიდევც ის, რომ თეატრში მისი მიტანილი ნებისმიერი ესკიზი თუ მაკეტი მოსწონდათ, ყველაფერს კრიტიკის გარეშე, აღფრთოვანებით იღებდნენ. მუდმივად უნდოდა სადმე ისეთ ადგილას წასულიყო, სადაც ან რამეს დაუნუნებდნენ, ან შეუსწორებდნენ, რჩევას მისცემდნენ... მარჯანიშვილი სულ ეუბნებოდა, არასოდეს შეგეპაროს ეჭვი შენს ნამუშევართა მხატვრულ ღირებულებაში, ყოველთვის თავხედურად იყავი დარწმუნებული, რომ შენი გაკეთებული უდაოდ საუკეთესოაო. დიდი მანქანის გარდაცვალების შემდეგ, ეს უკმარობის გრძნობა სულ უფრო და უფრო უმძაფრდებოდა. საბოლოოდ, პეტრე ოცხელმა რუსეთში გამგზავრება გადაწყვიტა, თანაც წასვლისთვის საკმაოდ ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა – მცირე თეატრის დირექტორმა, სერგო ამალ-ლობელმა სამუშაოდ მიიწვია.

1930-იანი წლების მოსკოვის თეატრალური ცხოვრება შემოქმედებითი მოულოდნელობებით, ნოვაციებით, ბოზოქარი ვნებათაღვლით იყო სავსე... თუმცაღა ხელოვანებს არც

ამ წერილის დაწერიდან 2 თვის შემდეგ, მარჯანიშვილი მოსკოვში, ღამით, მოულოდნელად გარდაიცვალა.

მოიფიქრა, თუმცა, როგორც ყოველთვის – შესასრულებლად – რთული. ორი მრგვალი, დისკოსავით ბრტყელი წრე ერთმანეთზე მოათავსა, თანაც ისე, რომ ზედა სანახევროდ იწეოდა და ხან ქოხის სახურავად ევლინებოდა მაყურებელს და ხან კი



ისპიზი სპექტაკლისთვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“

ეს თეფშისმაგვარი სართულები სცენაზე კი დაამონტაჟეს, მაგრამ ვერაფრით ამოძრავეს. სცენაზე ამწე მანქანა დააყენეს. მისი მეშვეობით უნდა აემოძრავებინათ დეკორაცია. ახალ დანადგარს თეატრში ხუმრობით მარჯანიშვილი დაარქვეს.

ცენზორთა მახვილი თვალი აკლდათ. 1933 წელს გამოვიდა დადგენილება, რომელიც ყველა შემოქმედებით ორგანიზაციას დაუგზავნეს. თეატრებშიც უმკაცრესი ცენზურა გამეფდა. რეპერტუარში აიკრძალა ყველაფერი, რაც ეროვნულ, პატრიოტულ ნიშნებს შეიცავდა. 1936 წელს დახურეს კამერული თეატრი, გააუქმეს სამხატვრო თეატრის ფილიალი, რეპერტუარიდან

მოსხნეს დ. შოსტაკოვიჩის ოპერა – „მცენის მაზრის ლედი მარბეტი“ და ბალეტი – „ანკარა წყარო“, როგორც „საბჭოთა მაყურებლისთვის იდეოლოგიურად მავნე“ ნაწარმოები, შეცვალეს დიდი თეატრის ხელმძღვანელობა... მოსკოვში პეტრეს საქმე თავზესაყრელად ჰქონდა – მცირე თეატრში ორ დადგმაზე – ფ. შილერის – „ვერაგობა და სი-



„ქვირვასო ნინკა, – წერდა დას მოსკოვიდან – რა თქმა უნდა, მაღანაშავე ვარ შენ წინაშე“

რომ სადღაც ამოვიკითხე პროფესორ მოროზოვის სტატია მარჯანიშვილის თეატრის შესახებ, სადაც ის წერს, რომ „ოცხელის არაჩვეულებრივი ნიჭიერებით შესრულებული ნამუშევრები არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ჩვენ, ხელოვნების დარგის სპეციალისტები, ვერ ვახერხებთ ისინი დღეს არსებულ რომელიმე მიმდინარეობას ან ჟანრს მივაკუთვნოთ, რადგანაც ეს ნამუშევრები უაღრესად ახლები და სპეციფიკურია.“ შენ კი ფორმალისტად შემრაცხე... წერილობით არც ვაპირებ შენთვის ლექციების კითხვას. თანაც, თუკი ოდესმე ვინმე წაიკითხავს ამ წერილს, ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს ჩემი თავი დიდი ვინმე მგონია. იმას კი არ იფიქრებენ, რომ შენ-ნაირმა მაცდურმა გამომიწვია პაექრობაში. გკოცნი. შენი პეტია.“

1937 წლის 21 სექტემბრის საღამოს, რეპეტიციის შემდეგ, პეტრე მეგობრებთან ერთად მორიგ თავყრილობაზე აღმოჩნდა. ჩვეულებისამებრ, კარგ ხასიათზე იყო, თვითონაც კარგ დროს ატარებდა და სხვებსაც ამხიარულებდა. შემდეგ სახლში დაბრუნდა, მეორე დღეს ისევ თეატრი და რეპეტიცია ელოდა... თუმცა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა – გვიან ღამით მის ბინაში შინსახკომის თანამშრომლები მივიდნენ, დაპატიმრების ორდერი წარუდგინეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მეორე დღეს, როდესაც ეს ამბავი გახმაურდა, ლევანი მის სახლში გაეზარდა. იქ ყველაფერი გადმოყრილი და დამტვრეული დახვდა – როგორც ჩანს, ჩხრეკა პროფესიულ დონეზე ჩატარდა. დაპატიმრების ორდერი №2008. ბრალდება: მოსკოვში „საქართველოს ნაციონალური ცენტრის“ აქტიური მონაწილე, რომელიც ეწეოდა ანტისაბჭოთა მოღვაწეობას, კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ საქმიანობას.

1937 წელი, სექტემბერი, ნანყვეტი დაკითხვის ოქმიდან: გამოძიებელი არტაშინი: – 1931 წელს რატომ იყავით მოსკოვში? რამდენ ხანს იყავით? სად ცხოვრობდით? ბრალდებული ოცხელი: – ცხოვრობდი ძმასთან, ზაცეპკის ქუჩაზე. – თქვენი ძმა ჩანწერილი იყო იმ სახლში? – ვერ ვიხსენებ... – თუ შეხვედრიხართ გიორგი ჟორ-

სტანისლავსკი მას პირველი ადგილის მოპოვებისთვის პრიზი თავისი ხელით გადასცა

დანიას და ვახტანგ აბაშიძეს? – დიახ, შეხვედრივარ თეატრში. ერთად გვიმუშავია. – რამდენჯერ შეხვედრიხართ ვერიკო ანჯაფარიძეს მოსკოვში და ყოფილხართ თუ არა მის დასთან მინსკის ქუჩაზე? – დიახ, რამდენჯერმე... ეს უბრალო სტუმრობა იყო. ორ თვეს გაგრძელდა გამოძიება, რომელსაც ბრალდებულის წინააღმდეგ არც ერთი მამხილებელი საბუთი გააჩნდა. პეტრე ყოველ დაკითხვაზე იმეორებდა, რომ უდანაშაულოა და სახელმწიფოს წინააღმდეგ არაფერი ჩაუდენია. ოცხელის დაჭერის ძირითადი მიზეზი მისი სერგო ამალაობელთან თანამშრომლობა იყო. ამალაობელი რამდენიმე თვით ადრე დაიჭირეს, ბრალი ედებოდა „საქართველოს ნაციონალური ცენტრის“ ორგანიზატორობაში, მოგვიანებით კი მის საქმეს პეტრე ოცხელის, გიორგი ჟორდანიასა და ვახტანგ აბაშიძის საქმეებიც დაუკავშირეს. სამივე ერთ დღეს, 21 სექტემბერს დაიჭირეს.

მოსკოვში ქართველთა არაოფიციალური ცენტრი მართლაც არსებობდა. ის, რა თქმა უნდა, არც კონტრრევოლუციურ და არც ტერორისტულ საქმიანობას ეწეოდა. უბრალოდ, ქართველები ხშირად იკრიბებოდნენ, ატარებდნენ თავყრილობებს, კონცერტებს, საღამოებს, ლექციებს... 30-იანი წლების მოსკოვში მოღვაწეობდნენ: რეჟისორი – სანდრო ახმეტელი, დირიჟორი – ევგენი მიქელაძე, ქორეოგრაფი – ვახტანგ ჭაბუკიანი, მხატვარი – სოლიკო ვირსალაძე... დიდი ბელადი კი ეროვნულობის ყოველგვარ გამოვლინებას ებრძოდა, განსაკუთრებით – ქართულს. ამიტომაც „ქართველთა ცენტრი“ მალე მოსპეს და მოსკოვის საუკეთესო სახლებიდან შინსახკომის კედლების მიღმა მოაქციეს.

ევგენი მიქელაძის მეუღლე ქეთევან (ქეთუსია) ორახელაშვილი, რომელიც გადასახლებაზე ამ ციხეში იმყოფებოდა, ხუმრობით იხსენებდა – როდესაც პატიმრები ციხის ეზოში სასაერნოდ გაეყავდით, თავი რუსთაველის გამზირზე მეგონა, იმდენ ნაცნობ და ახლობელ ადამიანს ვხედავდიო. ერთ-ერთი ასეთი სეირნობის დროს, მოულოდნელად პეტრე ოცხელს მოკრა თვალი. მის ნახვას იქ არ ელოდა და გაკვირვებულმა კითხა – პეტია, შენ აქ რაღა გინდაო? პეტრემ გაუღიმა და პასუხის ნაცვლად მხოლოდ



ორდერი №2008. ბრალდება: მოსკოვში „საქართველოს ნაციონალური ცენტრის“ მონაწილე, ეწეოდა ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ საქმიანობას.

მხრები აიჩჩა. გამოძიებელი არტაშინი: – თქვენ ბრალი გედებათ კონტრრევოლუციურ და ანტისაბჭოთა საქმიანობაში. ბრალდებული ოცხელი: – მე არ ვეწეოდი კონტრრევოლუციურ მუშაობას. ოცხელი თავის დანაშაულს ყველა

ოქმში უარყოფს, თუმცა „ტროიკისთვის“ ამას არავითარი მნიშვნელობა აქვს. პარალელურად ამალაობელის დაკითხვა მიმდინარეობდა: – მოგვეცით ჩვენება თქვენი ტერორისტული ჯგუფის შესახებ მცირე თეატრში... გვესაუბრეთ პეტრე ოცხელზე...

„რაც შეეხება ჩემს ფორმალიზმს, ჩვენ შორის რომ დარჩეს, მას მე არ ვემიჯნები და არც არასოდეს გავემიჯნები“ – წერილით უხსნიდა აღელვებულ ნინას.

ყვარულზე“ და ვ. გუსევის – „დიდებაზე“, პარალელურად – კ. სტანისლავსკის და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში და სტეპანოვის ოპერაზე – „მესაზღვრეებზე“ მუშაობდა. „ძვირფასო ნინკა, – წერდა დას მოსკოვიდან – რა თქმა უნდა, მე დამნაშავე ვარ შენ წინაშე. თავს კი არ ვიმართლებ, მაგრამ გაითვალისწინე, რომ შემოდგომაზე ახალი თეატრალური სეზონი იხსნება და მიხვდები თუ რამხელა დატვირთვა მაქვს ახლა. პირდაპირ ნამდვილი ჯოჯოხეთია. ზაფხული ძალიან ხალისიანი განწყობით გავატარე, რადგან შესაძლოა ცხოვრებაში პირველად ვიყავი კმაყოფილი საკუთარი საქმით. რა თქმა უნდა, მუშაობის პროცესს ვგულისხმობ. შენ გამიგებ, რომ ერთი ასეთი შეგრძნება გადაფარავს მრავალ უსიამოვნებას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სასიხარულო ამბებით განებივრებულები სულაც არ ვართ.“ 1937 წელს კონსტანტინ სტანისლავსკიმ ოპერა „რიგოლეტოსთვის“ ესკიზების კონკურსი გამოაცხადა. შეჯიბრში მონაწილეობა ოცმა მხატვარმა მიიღო,



პეტრე ოცხელი

დეეს, რომ სამივე ბრალდებული ნამდვილად გამოასალმეს სიცოცხლეს. ქალაქის ეკონომიის მიზნით, ექიმს დასკვნა ოქმის ფურცლის მეორე გვერდზე დაუნერია...

გრიგოლ ოცხელი დიდხანს ეძებდა გაუჩინარებული შვილის კვალს. 1941 წელს მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს წერილიც კი გაუგზავნა. ატყობინებდა, რომ 1 თებერვალს წერილი მისწერა პროკურორს, სთხოვდა განეხილათ მისი შვილის საქმე. უპასუხეს, რომ პეტრე ოცხელს „მისჯილი აქვს 10 წელი შორეულ გადასახლებაში“. 1955 წელს ოჯახმა რეაბილიტაციის წერილი მიიღო, თუმცა რა ბედი ეწია თავად პეტრეს, მაინც ვერ გაიგეს. ამ წერილის წყალობით პეტრეს შემოქმედება უკვე ლეგალური გახდა. ნინამ კარადის უკან დამალული ესკიზები გადმოაღაგა და უგზო-უკვლოდ დაკარგული ძმის სხვა ნამუშევრების მოძიებაც დაიწყო. ამ საქმეში საოცრად ეხმარებოდა მოსკოვიდან თამარ ვახვახიშვილი. განსაკუთრებით ცდილობდნენ „მშენებელი სოლნესის“ ესკიზები მოეპოვებინათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თეატრის ხელმძღვანელობას ყველაფერი სანაგვეზე გადაეყარა – ესკიზები, კოსტიუმები, მაკეტი... თუმცა ვახვახიშვილმა მიაგნო ერთ თეატრალ კაცს, რომელმაც ეს ყველაფერი ნაგვიდან ამოიღო და წლების მანძილზე საგულდაგულოდ ინახავდა. თამარმა, დიდი თხოვნის შემდეგ, დაიყოლია იგი ნამუშევრები დაებრუნებინა, ოჯახმა ყველაფერი გამოისყიდა, ზუსტად ერთ კვირაში კი ეს კაცი გარდაიცვალა.

გრიგოლმა მძიმე ცხოვრება განვლო – უფროსი ქალიშვილი, ნატაშა, ახალგაზრდობაში სეფსისით გარდაიცვალა, შემდეგ პეტის ტრაგიკული ამბავი მოხდა, რომლის ფინალიც გრიგოლმა ცხოვრების ბოლომდე ვერ შეიტყო... 1941 წელს ლევანი სამამულო ომში მოხალისედ წავიდა, ალყაში მოყვა და გარკვეული დროის მანძილზე ოჯახმა მის შესახებ არაფერი იცოდა. ლევანმა საზარელ პირობებს, შიმშილს გაუძლო, რაღაც სასწაულით გადარჩა და სახლში დაბრუნდა. თუმცა გრიგოლი ვერც ამ ამბავს მოესწრო – ის 1948 წელს, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მრავალი წლის მანძილზე ოცხელები მაინც არ კარგავდნენ იმედს, რომ, ერთ მშვენიერ დღეს, პეტია ოჯახს უვნებელი დაუბრუნდებოდა. და-ძმისთვის წარმოუდგენელი იყო იმის დაჯერება, რომ, შეიძლება, ის ამ დროისთვის ცოცხალი აღარ ყოფილიყო. საბოლოოდ, ყველაფერი 1992 წელს გაირკვა – როდესაც არქივი გაიხსნა და ოქმები ხელმისაწვდომი გახდა. ნინას ქალიშვილმა – მარინა ოცხელმა გაიგო, რომ მისი ბიძა დაკავებიდან 2 თვის შემდეგ დახვრიტეს, მაგრამ ეს ამბავი უკვე ძლიერ მოხუცებულ დედას და ბიძას არ გაუხილა. ხანდაზმულ და-ძმას ბოლომდე სჯეროდა, რომ პეტია ცოცხალი და სალსალამათია.

1939 წელს, ლონდონში, თეატრის მხატვართა ნამუშევრების მსოფლიო გამოფენაზე, პეტრე ოცხელის ესკიზები ოქროს დიდი მედლით დაჯილდოვდა. გარდაცვალებიდან 63 წლის შემდეგ კი, 2000 წლის ივლისში, პეტრე ოცხელის ნამუშევრები ლონდონში, ედინბურგში, ბრისტოლსა და ნიუპორტში გამოფინეს. პეტრე ოცხელმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა და ასე ახდა კოტე მარჯანიშვილის სიტყვები:

„...სიკვდილი სულელური სიტყვაა. სიკვდილი არ არსებობს. სწორედ ის, რაც დარჩება შენს შემდეგ, არის გამარჯვება სიკვდილზე, ანუ სამარადისო დავიწყებაზე.“

ანა მირიანაშვილი

– პეტრე ოცხელი მე გავიცანი 1928 წელს, როგორც კოტე მარჯანიშვილის მხატვარი... პოლიტიკურ საკითხებზე საუბარი არ გვქონია. ოცხელს საერთოდ აპოლიტიკურ ადამიანად ვთვლიდი...

მრავალი წლის მანძილზე ოცხელები მაინც არ კარგავდნენ იმედს, რომ, ერთ მშვენიერ დღეს, პეტია ოჯახს უვნებელი დაუბრუნდებოდა.

აპოლიტიკური ხელოვანის პოლიტპატიმრობა 2 თვე გაგრძელდა. 4-5 დაკითხვის შემდეგ „ტროიკამ“ განაჩენი გამოიტანა – დახვრეტა, ქონების კონფისკაციით. განაჩენი იმავე დღეს აღასრულეს, 30 წლის პეტრე ოცხელი 1937 წლის 2 დეკემბერს ვ. აბაშიძესთან და გ. ჟორდანიასთან ერთად დახვრიტეს. პირად საქმეში, ოქმებთან ერთად, ექიმის დასკვნაც

